ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1422976

ნომერი: AR1239043

თარიღი : 22.07.2014

გაცემის თარიღი : 07.08.2014

გაცნობის თარიღი : 07.05.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , I და II მ/რ-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , ნაკვეთი N03/036-ის მიმდებარედ (ნაკვ.03/042)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , N9-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი 03/029) / ქალაქი თბილისი , გობრომიძის N13 შ.პ.ს. დილეოს და ავტო სადგომს შორის/ ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი II , კორპუსი 2 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , შპს ,,ლეგია და კომპანია"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო მშვიდობაძე პ/ნ 62001038592
- სოხუმი ძიძარიას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.07.2009 წლის #754 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 22.07.2014 წ. #AR1239043 განცხადებით მომართა შპს ,,დილეო"–ს მინდობილმა პირმა კარლო მშვიდობაძემ და მოითხოვა 28.07.2009 წლის #754 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა

შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 28.07.2009 წ. #01.11.17.003.007 (600 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე საზკვების ობიექტის აშენების მიზნით დამტკიცდა #754 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები, ხოლო ამავე სამსახურის 2011 წლის 15 თებერვლის #485, 2013 წლის 12 ივნისს #736411 და 2013 წლის 15 აგვისტოს #847134 ბრძანებებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში. განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.11.17.003.207 ფართობი – 1207 კვ.მ), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.07.2009 წლის #754 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული: #01.11.17.003.207 ფართობი – 1207 კვ.მ);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.07.2009 წლის #754 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-1207 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.11.17.003.207;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.07.2009 წლის #754 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს შემდეგი:
- „ვინაიდან, ამონაწერში საჯარო რეესტრიდან ფიქსირდება ვალდებულება/შეზღუდვა - დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე, პროექტის შეთანხმების სტადიაზე დაცული, ან ამოღებული იქნას აღნიშნული ვალდებულება“;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.07.2009 წლის #754 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 2011 წლის 15 თებერვლის #485, 2013 წლის 12 ივნისს #736411 და 2013 წლის 15 აგვისტოს #847134 ბრძანებებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.